პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის მიზანია:

1. მოამზადოს აგრონომიის დარგის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო მოთხოვნების შესატყვისი აგრონომიის ბაკალავრი;
2. ჩამოუყალიბოს აგრონომიაში თანამედროვე მიღწევების და აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის გამოყენებით სასოფლო სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის, მაღალ ხარისხიანი მოსავლის მიღების, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების, პრაქტიკული საქმიანობისა და დაგეგმვისათვის საჭირო ცოდნა და უნარები.
3. კურსდამთავრებულებს შეუქმნას აგრონომიის მიმართულებით სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელებისა და პროფესიული განვითარებისთვის მყარი საფუძველი.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

1. აქვს აგრონომიის სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს აგრარული ტექნოლოგიების თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას და ცოდნის ზოგიერთ უახლეს ასპექტს.
2. ახასიათებს მცენარეთა, სასოფლო სამეურნეო კულტურათა ბიოლოგიურ თავისებურებებს, მცენარეში მიმდინარე ბიოქიმიურ და ფიზიოლოგიურ პროცესებს, ეკოლოგიურ ფაქტორებს და მათ გავლენას ეკოსისტემაზე; მცენარეთა ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების გამოყვანის და შეფასების ძირითად, თანამედროვე მეთოდებს;
3. განიხილავს მცენარეთა დაცვის ზოგად პრინციპებს, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ძირითად მავნე ორგანიზმებს და აფასებს მათ წინააღმდეგ ბრძოლის ინტეგრირებულ ღონისძიებების გამოყენებას.
4. ნიადაგების გენეზისის საფუძველზე აფასებს ნიადაგებს, კლიმატური პირობების გავლენას კონკრეტული მცენარეების ზრდა-განვითარებასთან და ადგენს შესაბამისი კულტურის ნიადაგის ნაყოფიერების მართვის გეგმას;
5. აგრონომიული საქმიანობის განხორციელების დროს ითვალისწინებს სურსათის უვნებლობისა და სასურსათო უსაფრთხოების საკვანძო მოთხოვნების საფუძვლებს;
6. აღწერს ორგანული სოფლის მეურნეობის, სასოფლო-სამეურნეო დარგების, აგრარული ტექნოლოგიების ზოგად პრინციპებს; სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანისათვის სამანქანო ტექნოლოგიებს, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ბიოეკოლოგიურ და სამეურნეო თავისებურებებს და მათი მოვლა-მოყვანის აგროწესებს;
7. აგრონომიის საკითხებზე სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით აგროვებს და აანალიზებს ინფორმაციულ მასალას, აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს;
8. ახორციელებს ტექნოლოგიის ცალკეული სტადიების ოპტიმალურ შეფასებას, ხარისხობრივი და რენტაბელური მაჩვენებლებიდან გამომდინარე პრობლემის იდენტიფიცირებას, ფორმულირებას რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაჭრისათვის;
9. შეიმუშავებს და ახორციელებს პრაქტიკული ხასიათის პროექტს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად და აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციისას წარადგენს საკუთარ დასკვნებს, არგუმენტებს როგორც ქართულ, ასევე, ინგლისურ ენაზე თანამედროვე ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
10. საფუძვლიანად ფლობს სპეციალობის შესაბამის ტერმინოლოგიას, აწარმოებს საქმიან დოკუმენტაციას;
11. პასუხისმგებლობით ახორციელებს საკუთარი სწავლის შედეგების შეფასებას, რის საფუძველზეც გეგმავს სწავლის შემდგომ პროფესიულ განვითარებას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი

სკალით. დადებითი შეფასებებია:

- **(A)** - ფრიადი - შეფასების 91-100ქულა;
- **(B)** - ძალიან კარგი - შეფასების 81-90ქულა;
- **(C)** - კარგი - შეფასების 71-80ქულა;
- **(D)** - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70ქულა;
- **(E)** - საკმარისი - შეფასების 51-60ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- **(FX)** - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- **(F)** - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	მათემატიკის საფუძვლები	5
2	ზოგადი და არაორგანული ქიმია	6
3	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 1	4
4	ზოგადი ბიოლოგია	6
5	ზოოლოგია	4
6	**უცხოური ენა I - (არჩევითი სასწავლო კურსები) 5 კრედიტი**	
6.1	ინგლისური ენა – 1	**5**
6.2	ფრანგული ენა-1	
6.3	გერმანული ენა –1	
6.4	რუსული ენა -1	
7	სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი	**5**
8	ფიზიკა	4
9	მცენარეთა ბიოლოგია და ფიზიოლოგია	6
10	ბიოორგანული ქიმია	5
11	შრომის უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა	4
12	**არჩევითი ჰუმანიტარული სასწავლო კურსები: 3 კრედიტი**	
12.1	ენობრივი კომუნიკაციების თანამედროვე ტექნოლოგიები	**3**
12.2	საქართველოს ისტორია	
12.3	სოციოლოგიის შესავალი	
12.4	ფილოსოფიის საფუძვლები	
12.5	შესავალი ფსიქოლოგიაში	
13	**უცხოური ენა II - (არჩევითი სასწავლო კურსები) 5 კრედიტი**	
13.1	ინგლისური ენა – 2	**5**
13.2	ფრანგული ენა-2	
13.3	გერმანული ენა -2	
13.4	რუსული ენა -2	
14	აკადემიური წერის ელემენტები	3

15	მცენარეთა ეკოლოგია	5
16	ნიადაგმცოდნეობა	5
17	აგრომეტეოროლოგია და კლიმატოლოგია	5
18	მცენარეთა ბიოქიმია	5
19	ეკონომიკის პრინციპები	5
20	**უცხოური ენა III - (არჩევითი სასწავლო კურსები) 5 კრედიტი**	
20.1	ინგლისური ენა – 3	**5**
20.2	ფრანგული ენა-3	
20.3	გერმანული ენა -3	
20.4	რუსული ენა -3	
21	აგრონომიის საფუძვლები	**3**
22	წყლის რესურსების მენეჯმენტი სოფლის მეურნეობაში	3
23	სასოფლო სამეურნეო ენტომოლოგია	5
24	სასოფლო სამეურნეო ფიტოპათოლოგია	5
25	ზოგადი მიწათმოქმედება	4
26	აგროქიმია	5
27	**უცხოური ენა IV - (არჩევითი სასწავლო კურსები) 5კრედიტი**	
27.1	ინგლისური ენა – 4	5
27.2	ფრანგული ენა-4	
27.3	გერმანული ენა -4	
27.4	რუსული ენა -4	
28	მიკრობიოლოგია	4
29	მცენარეთა გენეტიკა და სელექცია	5
30	მემცენარეობა	6
31	მებოსტნეობა	5
32	აგროდაზღვევის საფუძვლები	6
33	მინდვრად საკვებწარმოება	4
34	გეოინფორმაციული სისტემები აგრონომიაში	5
35	მევენახეობა და მისი აგროტექნოლოგია	6
36	მეხილეობა და მისი აგროტექნოლოგია	6
37	სასოფლო-სამეურნეო მანქანები	5
38	მცენარეთა დაცვის საფუძვლები	5
39	ორგანული სოფლის მეურნეობა	3
40	მეცხოველეობის საფუძვლები	4
41	ტექნიკური კულტურები	4
42	სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მეთესლეობა და ჯიშთმცოდნეობა	4
43	მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის საფუძვლები	3
44	სურსათის უვნებლობა და ხარისხი	5
45	**თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები**	**5**
46	სასურსათო უსაფრთხოება	5
47	აგრობიოტექნოლოგიის საფუძვლები	5
48.	**სპეციალობის სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები (არანაკლებ 10 კრედიტი)**	

48.1	კონსერვაციული ბიოლოგია	5
48.2	სამკურნალო მცენარეები	
48.3	საკარანტინო მავნებლები	
48.4	ბოტანიკა	
48.5	მცენარეთა ფიზიოლოგია	
48.6	აგრარული მეურნეობის ქიმიზაცია და გარემოს დაცვა	
48.7	სასათბურე მეურნეობის ექპლუატაცია და მართვა	**6**
48.8	ხილ–ბოსტნეულის პირველადი დამუშავება და შენახვა	
48.9	კულტურულ მცენარეთა სელექციის საფუძვლები	**4**
48.10	მდელოსნობა	
48.11	აგრომეტყევეობა	
48.12	აგროსატყეო მელიორაცია	
48.13	არორგანული ქიმია	
48.14	მეაბრეშუმეობა	**5**
48.15	სარეველა, შხამიანი და მავნე მცენარეები	
49.	საველე პრაქტიკა აგრონომიაში	5
50.	საბაკალავრო ნაშრომი	5